ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №6179338

ნომერი: AR1928853

თარიღი : 17.10.2022

გაცემის თარიღი : 25.10.2022

გაცნობის თარიღი : 31.10.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 40;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევანი ოქროპირიძე პ/ნ 35001052365
- რუსთვი, მე-17 მკრ, კორ. 17 ბ. 59

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 17 ოქტომბერს №AR1928853 განცხადებით მომართა ლევანი ოქროპირიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 12 სექტემბრის №6119726 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ეტაპის მითითების ნაწილში. სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 12 სექტემბრის №6119726 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა №40-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.18.09.005.024) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 12 სექტემბრიდან 2025 წლის 12 ივნისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2022 წლის 06 ოქტომბრის №6154257 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2022 წლის 12 სექტემბრის №6119726 ბრძანებაში ბინების ნუმერაციასთან დაკავშირებით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2022 წლის 12 სექტემბრის №6119726 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტში და კალენდარულ გრაფიკში არასწორად მოხდა I ეტაპის (ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე) დაფიქსირება. რადგან აღნიშნული ეტაპის სამუშაოები უკვე შესრულებული იყო. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ 2022 წლის 18 ივლისის №AR1912886 განცხადებაზე, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიის ამსახველი ფოტოსურათების მიხედვით I ეტაპის სამუშაოები (ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე) დასრულებული არ არის. აღნიშნულ ფოტოსურათებზე არსებული ფილა წარმოადგენს -3.00 ნიშნულზე არსებულ ფილას. შესაბამისად, აღნიშნულ ეტაპთან დაკავშირებით ბრძანებაში ტექნიკური შეცდომა არ ფიქსირდება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სამსახურის 2022 წლის 12 სექტემბრის №6119726 ბრძანების გაცემის დროისთვის I ეტაპის სამუშაოები (ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე) დასრულებული არ იყო, სამსახური მოკლებულია მოთხოვნის დაკმაყოფილების და მშენებლობის ეტაპის ნაწილში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესაძლებლობას.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.